

იუბილე JUBILEE

ვინფრიდ ბოდერი – 80
ლუიჯი მაგაროტო – 75
დონალდ რეიფილდი – 75
იზაბელა ქობალავა – 85
ელის (ალის) ჰარისი – 70

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ცნობილ ქართველოლოგებს, ქართული და ქართველური ენებისა და ლიტერატურის შესანიშნავ მკვლევრებს, მთარგმნელებსა და, ზოგადად, ქართული კულტურის ელჩებს მთელ მსოფლიოში, **ვინფრიდ ბოდერს, ლუიჯი მაგაროტოს, დონალდ რეიფილდს, იზაბელა ქობალავასა და ელის ჰარისს** საიუბილეო თარიღებს.

იუბილართაგან ოთხი უცხოელი ქართველოლოგია, მათ შორის, ჟურნალ „კადმოსის“ სარედაქციო კოლეგიის სამივე უცხოელი წევრი, ერთი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი.

უცხოურ ქართველოლოგიას საკმაოდ ხანგძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს შეამჩნიეს გერმანიის, ავსტრიის, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის სააზიო საზოგადოებებმა, ევროპის ორიენტალისტიკის ცენტრებმა, რომ იმ დროს რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველო ძველი კულტურული სამყაროს უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო და რომ მას, ლურსმულიდან დაწყებული (ურარტული), ყველა ძველი ცივილიზაციის მნიშვნელოვანი კვალი ემჩნეოდა. თავდაპირველად მოგზაურებისა და კოლექციონერების დაინტერესება კავკასიისა და საქართველოს ბუნებრივი თუ კულტურული მრავალფეროვნებით მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან მკაფიოდ გამოხატულ სამეცნიერო-კვლევით ინტერესად იქცა და სათავე დაუდო უცხოეთში სამეცნიერო ქართველოლოგიის, საქართველოში დაცული ქართული და უცხოენოვანი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის აღიარებას და შესწავლას.

პირველ ასეთ აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მოგზაურობის ჩანაწერები, რომელიც 1839-1843 წლებში ექვს ტომად გამოიცა პარიზში (Dubois 1939-1843). ამ გამოცემაში შევიდა დიუბუას მიერ 1833 წელს საქართველოში მოგზაურობისას მიკვლეული ძეგლები, ასევე, მარი ბროსესა და სხვა სწავლულთა მიერ შესრულებული წარწერათა მონახაზები, გადმოწერილი და შესწავლილი ეპიგრაფიკული მასალა, მათ შორის დღეისათვის დაკარგულად მიჩნეული წარწერები. ეს გამოცემა, როგორც საქართველოსა და კავკასიის უძველესი კულტურული მემკვიდრეობის აღიარება, ევროპის სააზიო და გეოგრაფიულმა საზოგადოებებმა არაერთგზის დააჯილდოვეს (ვალერი სილოგავა. მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი. *მრავალთავი XII*, 1986: 141-148; თამარ კალხიტაშვილი. *ელექტრონული ეპიგრაფიკული კორპუსის გამოცემის სტანდარტი. სამაგისტრო ნაშრომი*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უძველესი ქართული ხელნაწერებიც მოექცა უცხოელ მკვლევართა ინტერესის სფეროში. ცნობილი ავსტრიელი მეცნიერის, ჰუგო შუხარტის მიერ ხუთი ქართული ხელნაწერის (მათ შორის ერთი ხანმეტი) ჩართვამ საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში, ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიისა და რუსეთის ორიენტალისტური ცენტრების მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა დასავლური ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის ჩამოყალიბებას. თუკი ფრედერიკ დიუბუას ნაშრომის გამოქვეყნებამდე საეჭვოდ ითვლებოდა საქართველოსა და კავკასიაში ასეთი სიძველეების არსებობაც კი, ამ პუბლიკაციამ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა, რომ როგორც ქართული, ისე საქართველოში აღმოჩენილი ან დაცული ეპიგრაფიკული თუ ხელნაწერი მემკვიდრეობის პუბლიკაცია და სიღრმისეული შესწავლა აუცილებელი წინაპირობა იყო ძველი მსოფლიოს დიდი კულტურული პროცესების საკვლევადად.

უცხოეთში ქართველოლოგიური კვლევების მნიშვნელოვან ხელშემწყობ გარემოებად იქცა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და იმდროინდელ მეცენატთა მიერ უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდები; თავიანთი სასწავლო-სამეცნიერო პროექტებით მათ მნიშვნელოვნად გაზარდეს უცხოელი სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი ქართული და კავკასიური ენებისა და კულტურის მიმართ. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა, როცა გასული საუკუნის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილმა, ზოგადად, საქართველოში უნივერსიტეტის დამაარსებელთა თაობამ, ევროპულ უნივერსიტეტებში სათავე

დაუდეს ძველი ქართული ენობრივი მემკვიდრეობის თარგმნის, პუბლიკაციისა და კვლევის პროცესების გააქტიურებას (I. Dschawachoff (Übers.). *Das Martyrium des hl. Eustatius v. Mzchetha*. Vorgelegt von A. v. Harnack. SPAW, 1901, 875-902; K. Schultze (Übers.). *Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis*. Leipzig: J. C. Hinrichs, 1905).

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო ძველი ქართული ძეგლების გამოცემა ბელგიის, გერმანიის, საფრანგეთის ცნობილ სამეცნიერო გამოცემებში, მათ შორის ისეთ საერთაშორისო სერიაში, როგორცაა CSCO (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, Scriptores Iberici), მოგვიანებით – Corpus Christianorum; ლათინურად, ან ევროპულ ენებზე ითარგმნა გამორჩეულად საინტერესო ტექსტები.

საბჭოთა იზოლაციისა და ხელოვნური დაბრკოლებების მიუხედავად, ქართული საუნივერსიტეტო მეცნიერების დამაარსებლები და შემდეგში უკვე მათი მოწაფეები ყველა ღონეს ხმარობდნენ, შეძლებისდაგვარად შეენარჩუნებინათ სამეცნიერო დიალოგი უცხოელ კოლეგებთან.

ჩვენი იუბილარი უცხოელი ქართველოლოგები სწორედ უნივერსიტეტის დამარსებელთა, ან მათ მოწაფეთა მოწაფეები არიან, რომელთა ნაშრომები, როგორც დარგის საუკეთესო სამეცნიერო პუბლიკაციები, უსათუოდ უნდა ითარგმნოს ქართულად. ამიერიდან კადმოსს დაემატება ახალი რუბრიკა – *უცხოური ქართველოლოგია*, რომელშიც დაიბეჭდება უცხოეთში გამოცემული საუკეთესო ქართველოლოგიური სამეცნიერო ნაშრომების თარგმანები.

ჟურნალ კადმოსის რედაქცია გულითადად ულოცავს ძვირფას იუბილარებს და უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავს ქართველოლოგიურ კვლევაში მათ მიერ შეტანილი უნიკალური წვლილის გამო.

ვინფრიდ ბოედერი (Winfried Boeder)

ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი; იგი დაიბადა 1937 წლის 2 აპრილს არვაილერში (Ahrweiler), სწავლობდა ფრაიბურგისა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში. 1961 წელს ფრაიბურგის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ბერძნული მედიუმის შესახებ (Studien zum griechischen Medium), 1967 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია ჰამბურგის უნივერსიტეტში



ლათინური ენის სინტაქსის საკითხებზე (Untersuchungen zur Infinitiv- und Gerundialsatzeinbettung im Lateinischen. Habilitationsschrift). 1967 წლიდან იგი იყო პრივატდოცენტი ჰამბურგის უნივერსიტეტში, 1973-2002 წლებში კი ოლდენბურგის უნივერსიტეტის (Carl von Ossietzky Universität Oldenburg) პროფესორი ენათმეცნიერების მიმართულებით.

50 წელზე მეტია, რაც ვინფრიდ ბოედერი ინტენსიურად იკვლევს ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის, ქართველური ენების ცალკეული ქვესისტემების საერთო და სპეციფიკურ პრობლემებს, ქართული ენის სოციალური ისტორიის საკითხებს. მისი შრომები ეხება ძველი, საშუალო და ახალი ქართულის, ქართველური ენების, ცალკეული დიალექტების ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სემანტიკის ურთულეს პრობლემათიკას. უცხოურ საენათმეცნიერო ქართველოლოგიაში ვინფრიდ ბოედერი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე ლინგვისტად. 2012 წელს *კადმოსში* დაიბეჭდა ვ. ბოედერის შრომების სია (იხ. *კადმოსი* 4: 259-272), ასევე ქართველოლოგიაში მისი ნაშრომების ცალკეული ასპექტების მიმოხილვა (*კადმოსი* 4, 2012: 238-258).

გარდა უაღრესად მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ქართველოლოგიური კვლევებისა, ვინფრიდ ბოედერის სახელს უკავშირდება საქართველოსა და კავკასიაში, ზოგადად, ყოფილ საბჭოთა კავშირში დაბეჭდილი ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური ნაშრომების ბიბლიოგრაფიის მომზადება, თარგმნა და უცხოურ სამეცნიერო დისკუსიაში მათი აქტიურად ჩართვა. 1969 წელს მან გერმანულად თარგმნა და ჰამბურგში გამოსცა ცნობილი კავკასიოლოგი-

სა და ქართველოლოგის, გიორგი კლიმოვის რუსულენოვანი ნაშრომი კავკასიური ენების შესახებ (Übertragung und Bearbeitung des Buches von G. A. Klimov: *Kavkazskie jazyki*. Moskva: Nauka 1965 unter dem Titel: *Die Kaukasischen Sprachen*. Hamburg: Buske 1969); 1982 წელს ვინფრიდ ბოედერმა თარგმნა და ბოლოსიტყვაობითურთ გამოსცა თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ცნობილი ნაშრომი *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში* (Thomas V. Gamkrelidze – Givi Mačavariani: *Sonantensystem und Ablaut in den Kartwelsprachen. Eine Typologie der Struktur des Gemeinkartwelischen*. Mit einem Vorwort von Georg Tsereteli. Ins Deutsche übersetzt, bearbeitet und mit einem Nachwort versehen von Winfried Boeder, [Ars Linguistica 10], Tübingen: Gunter Narr).

ყურნალ ბედი ქართლისას (*Revue de Kartvelologie*) სპეციალურ რუბრიკაში: *წიგნები საქართველოდან: ენათმეცნიერება (Bücher aus Georgien: Sprachwissenschaft)* ვინფრიდ ბოედერი ინტენსიურად ბეჭდავდა ქართველ ენათმეცნიერთა პუბლიკაციების მიმოხილას, ცნობილ ქართველ მეცნიერთა ნაშრომების ბიბლიოგრაფიებს. წლების განმავლობაში იგი ამზადებდა ქართველოლოგიურ და კავკასიოლოგიურ მასალას საერთაშორისო ლინგვისტური ბიბლიოგრაფიისთვის (*The Linguistic Bibliography*, compiled and edited by: Anne Aarssen, René Genis and Eline van der Veken, Brill).

ვინფრიდ ბოედერმა ღირსეულად გააგრძელა პროფესორ კარლ ჰორსტ შმიდტის წამოწყება და ოლდენბურგის უნივერსიტეტში ორგანიზებას უწევდა კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის სიმპოზიუმის ჩატარებას, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმი იყო ქართველ, კავკასიელ და უცხოელ მეცნიერთათვის. ბატონი ვინფრიდი ჩვეული ენერგიით აგრძელებს ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის ურთულესი პრობლემატიკის კვლევას.

ლუიჯი მაგაროტო (Luigi Magarotto)

ცნობილი ქართველოლოგი, ქართული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი, ვენეციის უნივერსიტეტის (*Università Ca' Foscari Venezia*) პროფესორ-ემერიტუსი; დაიბადა 1942 წელს იტალიის ქალაქ პადუაში, 1975 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი რუსული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. 1975-1976 წლებში ინტენსიურად სწავლობდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ლონდონის უნივერსიტეტში. 1976 წლიდან იყო პროფესორი ვენეციისა და ფლორენციის უნივერსიტეტებში, ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრს (2003), ამერიკანისტიკის, ესპანისტიკისა და სლავისტიკის ცენტრს (2006).



ლუიჯი მაგაროტო პროფ. ნინო ყაუხჩიშვილთან ერთად წლების განმავლობაში იყო ქართველოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ერთ-ერთი ორგანიზატორი (მდივანი). 1980-იანი წლებიდან იგი ინტენსიურად მუშაობს ქართველოლოგიის დარგში, უმეტესად, ლიტერატურის სფეროში. მას ქართულ ენაში ამეცადინებდა შუქია აფრიდონიძე, ხოლო ლიტერატურაში კონსულტაციას უწევდა ნია აბესაძე. ეს ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგა, ლუიჯი მაგაროტომ თარგმნა ილია ჭავჭავაძის (*Ilia Č'avč'avadze, Alla Forca*, Tbilisi: Nakaduli 1987), გალაკტიონ ტაბიძის (*Galaktion Tabidze, Poesie*, Tbilisi: Metsniereba, 1996), ვაჟა-ფშაველას (*Važa-Pšavela, L'uomo che mangiò carne di serpente e altri poemetti [Aluda Ketelauri e l'ospite e il forestiere]*, a cura di Luigi Magarotto e Gianroberto Scarcia. MCMXCVI Campanotto Editore: 1996) თხზულებები. 2004 წელს მან გამოსცა ცნობილი ნაშრომი: *L'annessione della Georgia alla Russia (1783-1801)*, Storia 11. Campanotto Editore (ლუიჯი მაგაროტო. საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ 1783-1801 წლებში. იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა. გამ-ბა *მწიგნობარი*: თბილისი 2008).

გარდა ბეჭდური გამოცემებისა, ცნობილია ქართველი პოეტების, ანა კალანდაძის, გივი გეგეჭკორის, ემზარ კვიციანიშვილის, ლია სტურუას ლექსების იტალიური თარგმანების ლუიჯი მაგაროტოსეული აუდიოჩანაწერები. იგი ინტენსიურად აგრძელებს ქართველი ავტორების თარგმნასა და კვლევას.

დონალდ რეიფილდი (Patrick Donald Rayfield)



ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, მონუმენტური ქართულ-ინგლისური ლექსიკოლოგიური ნაშრომის მთავარი რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი, ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი, საქართველოს შესახებ უახლესი საისტორიო ნაშრომების ავტორი.

დონალდ რეიფილდი დაიბადა 1942 წ. ოქსფორდში, განათლება მიიღო კემბრიჯის უნივერსიტეტში, ხოლო მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა ლონდონის უნივერსიტეტის დედოფალ მერის კოლეჯში.

საქართველოში დონალდ რეიფილდი პირველად 1973 წელს ჩამოვიდა. იგი მოვლინებული იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ახალი ქართული ენის კათედრაზე; აქ მას ქართულ ენაში ამეცადინებდა შუქია აფრიდონიძე, ლიტერატურაში კი, დამატებით – ნია აბესაძე.

საკუთარი სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტერესების კვალობაზე დონალდ რეიფილდის მუშაობა, ძირითადად, ორი მიმართულებით მიმდინარეობდა; იგი ინტენსიურად იკვლევდა და თარგმნიდა ქართულ ლიტერატურას. ქართული ენის შესწავლის პირველსავე პერიოდში მან თარგმნა და საქართველოშივე გამოსცა გალაკტიონის ათი ლექსი (*Galaktion Tabidze. Ten Poems. Tbilisi 1974*) და ვაჟა-ფშაველას სამი პოემა: *სტუმარ-მასპინძელი* (Vazha-Pshavela, *Host and Guest. Ganatleba Publishers: Tbilisi 1981*), *ალუდა ქეთელაური* (Vazha-Pshavela, *Aluda Ketelauri, Tbilisi 1983*) და *გველის მჭამელი* (Vazha-Pshavela, *The Snake-Eater, Tbilisi, Ganatleba Publishers: Tbilisi 1981*), ილია ჭავჭავაძის *მეფე დიმიტრი თავდადებული* (Ilia Chavchavadze, *King Dimitri's Sacrifice, Tbilisi 1998*).

1990-იანი წლებიდან დონალდ რეიფილდმა დაიწყო მუშაობა და შემდგომში დიდ ბრიტანეთში სამგზის (1994, 2000, 2010) გამოსცა ყოველ ჯერზე გადამუშავებული და შევსებული *ქართული ლიტერატურის ისტორია* (*The Literature of Georgia. A History*); ამავე პერიოდში მან ინტენსიურად დაიწყო ქართული პროზაული ნაწარმოებების თარგმანა. 2012 წელს გამოსცა ოთარ ჭილაძის ორი რომანი: *გზაზე ერთი კაცი მიდიოდა* (*A Man Was Going Down the Road. London: Garnett Press 2012*)

და აველუმი (*Avelum*. London: Garnett Press 2013), შემდეგ – მიხეილ ჯავახიშვილის *კვაჭი კვაჭანტირაძე* (Kvachi, Champaign, [Illinois]: Dalkey Archive Press 2014).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერგო პატივი, გამოეცა ბატონი დონალდის კიდევ ერთი შესანიშნავი თარგმანი – აკაკის *ჩემი თავგადასავალი* (*The Story of my life*) პარალელური ქართულ-ინგლისური ტექსტით, რომელიც პრაგმატულადაც დიდად გამოსადეგია სტუდენტებისათვის ინგლისური ენის ათვისების გასაადვილებლად.

ბატონი დონალდის უკვე ხსენებულ ძველ ნამუშავეს თავისი მასშტაბებით თვისებრივად საგრძნობლად გადააჭარბა ბოლო ხანების მისმა ფუნდამენტურმა, აწ უკვე განხორციელებული პროექტის (ამჯერად ქართველ კოლეგებთან ერთობლივად) – დიდი ქართული-ინგლისური ლექსიკონის ორტომეულის გამოცემამ (1800-მდე გვ. მოცულობით).

მასშტაბები სხვა მიმართულებითაც გაიზარდა და გაღრმავდა: ბოლო წლებში ზედიზედ გამოიცა ფუნდამენტური წიგნები საქართველოს ისტორიაზე ლონდონსა (*Edge of Empires: A History of Georgia*, London: Reaktion Books, 2012) და მოსკოვში (*Грузия: Перекресток империй, История длиной в три тысячи лет*, Москва: изд. “КоЛибри” 2017).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დონალდ რეიფილდის ნაშრომი *სტალინი და მისი დამქაშები* (*Stalin and His Hangmen: The Tyrant and Those Who Killed for Him*. New York, NY: Random House 2004), რომელიც მსოფლიო ბესტსელერად არის ქცეული. ეს წიგნი დღესდღეობით მსოფლიოს რვა ენაზეა თარგმნილი.

იზაბელა ქობალავა (Izabela Kobalava)



თეორიული ენათმეცნიერების, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა-ფონოლოგიის, ქართველური ენების მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი.

ბელა ქობალავა დაიბადა 1932 წლის 8 ნოემბერს თბილისში; სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიური ენების მიმართულებაზე. 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე *აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში*, 1986 წელს – სადოქტორო დისერტაცია *ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში*. 1958-1996 წლებში მუშაობდა მკვლევრად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენციკლოპედიის განყოფილებებში. 1989 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი; 2006 წელს კი აირჩიეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად.

განსაკუთრებულია იზაბელა ქობალავას წვლილი ქართული და ქართველური ენების ფონოლოგიური სისტემების კვლევაში; მისი ავტორობით თუ თანაავტორობით შექმნილი მონოგრაფიული ნაშრომები (*ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში*: თბილისი. მეცნიერება. 1976; *გლოტალიზაცია ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით* (თანაავტორობით): თბილისი. უნივერსალი. 2011) თუ ცალკეული პუბლიკაციები (*ეიქტივების (გლოტალიზებული ფონემების) ფუნქციონალური თავისებურებები ქართველურ ენებში* (თანაავტორობით). 2016; ქართულსა და მეგრულში CVC სტრუქტურის ფონემური მოდელის კვლევის ანალიზი და შესაბამისი დასკვნები ასახულია სხვადასხვა დროს გამოცემულ პუბლიკაციებში) მაღალი სამეცნიერო ღირებულებით გამოირჩევა და დარგისთვის ფუნდამენტური ხასიათის კვლევებს წარმოადგენს.

ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებით ფართო სპექტრის ნაშრომია *ეკონომიის როლისათვის ენის სისტემასა და განვითარებაში* (1988), რომელშიც ავტორი იკვლევს ეკონომიურობის პრინციპებს ენის სისტემურ-სტრუქტურულ ორგანიზებასთან მიმართებით.

ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებით ფართო სპექტრის ნაშრომია *ეკონომიის როლისათვის ენის სისტემასა და განვითარებაში* (1988), რომელშიც ავტორი იკვლევს ეკონომიურობის პრინციპებს ენის სისტემურ-სტრუქტურულ ორგანიზებასთან მიმართებით.

ენათმეცნიერების მეტაენის ლექსიკოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი წყაროა *მასალები გლოსემატიკურ ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონისათვის* (1974), რომელშიც იზაბელა ქობალავამ ლ. იელმსლევისა და ჰ. ულდალის შრომებზე დაყრდნობით ცალკეულ სტატიებად აღწერა 306 ტერმინი, რამაც გლოსარიუმს მაღალი სამეცნიერო სანდოობა შესძინა. მოგვიანებით კი იზაბელა ქობალავას ხელმძღვანელობით მომზადდა „ქართული ენა“, პირველი ქართული სამეცნიერო-დარგობრივი ენციკლოპედია (2008), რომელშიც აისახა ქართული ენის ისტორია, ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარება, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ქართველოლოგთა მიღწევები.

ბოლო პერიოდში იზაბელა ქობალავას კვლევითი ინტერესი ფოკუსირდება ერთ-ერთი ქართველური ენის, მეგრულის, ფუნქციური და სემანტიკური კატეგორიების სიღრმისეულ შესწავლაზე; ამ მიმართულებით გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაცია ქართველური ენათმეცნიერებისათვის საეტაპო მნიშვნელობის შრომებად ითვლება; მის სახელს უკავშირდება სივრცული მიმართებების გამომხატველი კატეგორიების სტრუქტურული და სემანტიკური კვლევა მეგრულში დასავლურ თუ ამერიკულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით (ულა „სვლა“ ზმნის სემანტიკა მეგრულში. 2015; დროის სემანტიკა მეგრულში. 2015; *Semantic Components of Motion Verbs in Megrelian*. 2019; *სივრცული ზმნისწინები მეგრულში*; *სივრცული ზმნისართები მეგრულში (ხელნაწერი)*); იზაბელა ქობალავას მიერ მეგრულში ასპექტის, კილოს, დროის კატეგორიების განსხვავებულად ინტერპრეტირების შემდგომ გახდა შესაძლებელი ზმნის სტრუქტურაში პერფექტისა და იმპერფექტივის აღმნიშვნელი მარკერების დადგენა და გამოყოფა; ზმნის უღლების პარადიგმის, დრო-კილოთა სისტემის, განსხვავებული სქემის აგება (*კავშირებითი კილო მეგრულში*. 2001; *გვ. ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში*. 2002).

იზაბელა ქობალავა დღემდე აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში: უძღვება სალექციო კურსებს სწავლების სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, ახორციელებს პროექტებს ქართველური ენების კვლევის მიმართულებით.

ელის (ალის) ჰარისი
(Alice Carmichael Harris)



ამერიკელი ენათმეცნიერი, მასაჩუსეტის უნივერსიტეტის პროფესორი, ელის ჰარისი დაიბადა 1947 წლის 23 ნოემბერს, სწავლობდა რენდოლფ-მეკონის ქალთა კოლეჯში (Randolph-Macon Women's College), შემდეგ – ესექსის უნივერსიტეტში (University of Essex), 1976 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში (Harvard University) დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1979-2002 წლებში ელის ჰარისი ასწავლიდა ვანდერბილტის უნივერსიტეტში (Vanderbilt

University); 1993-2002 წლებში იგი ხელმძღვანელობდა გერმანიკული და სლავური ენების ფაკულტეტს, 2002-2009 წლებში კი იყო ენათმეცნიერების პროფესორი ნიუ იორკის უნივერსიტეტში (State University of New York). 2016 წელს ელის ჰარისი ამერიკის ლინგვისტური ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

ელის ჰარისი ადრეული პერიოდიდანვე დაინტერესდა ქართული, ქართველური და კავკასიური ენებით; მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული, ლაზური, სვანური, მეგრული, უდიური და ბაჯბური ენების კვლევაში. ჯერ კიდევ 1980-იან წლებში მან ინგლისურად გამოსცა *ქართული ენის სინტაქსი* (Georgian Syntax: A Study in Relational Grammar (Cambridge Studies in Linguistics). Cambridge: Cambridge University Press 1981) და *დიაქრონიული სინტაქსი: ქართველური ენების მაგალითი* (Diachronic Syntax: The Kartvelian Case (Syntax and Semantics, v. 18), Orlando: Academic Press 1985). 1991 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა კრებული *კავკასიის ადგილობრივი ენები: ქართველური* (The Indigenous Languages of the Caucasus, vol. 1: The Kartvelian languages. Ed. by Alice C. Harris. Delmar, NY: Caravan Books 1991); 1998 წელს ელის ჰარისისა და ლაილ კემპბელის წიგნს: *ისტორიული სინტაქსი კროსლინგვისტური პერსპექტივიდან* (Historical Syntax in Cross-Linguistic Perspective, Cambridge: Cambridge University Press 1995) ამერიკის ლინგვისტური ასოციაციის ჯილდო მიენიჭა. ეს ჯილდო ორ წელიწადში ერთხელ ენიჭება ნაშრომებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ენების შესწავლასა და ენათმეცნიერების განვითარებაში.

ელის ჰარისის დიდი დამსახურებაა საფრთხეში მყოფი ენების დოკუმენტირების პროგრამის შემუშავება (The Documenting Endangered Languages (DEL) Program).

აბსტრაქტი ABSTRACT

The Editorial Board of *Kadmos*, the journal of the humanities of Ilia State University, have the pleasure to extend their best wishes to the renowned kartvelologists, Professor Winfried Boeder on the occasion of his eightieth birth anniversary, Professor Alice Harris on her seventieth, Professor Izabela Kobalava on her eighty-fifth and Professors Luigi Magarotto and Donald Rayfield on their seventy-fifth anniversary.